ძალაშია 2024 წლის 1-ელი მარტიდან

მომსახურების ზოგადი პირობები

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში „ზოგადი პირობები“) აწესრიგებს სს მისო „ქართული კრედიტი“-ს (შემდგომში „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“, მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის 2011 წლის 06 მაისის 434-ე განკარგულების საფუძველზე გაცემული ლიცენზიით) მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირ(ებ)ისათვის, ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბიექტ(ებ)ისათვის (შემდგომში „მომხმარებელი“) მომსახურების გაწევის პირობებსა და მხარეთა უფლება-მოვალეობებს მომსახურების გაწევის/მომსახურებით სარგებლობის პროცესში.

1.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მისიაა ახალი შესაძლებლობების შექმნა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობა ემყარება შემდეგ ღირებულებებს: პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, სოციალური პასუხისმგებლობა და პროფესიული ზრდა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ყველა მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომსახურებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაზიარებისა თუ მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების გამოხატვის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვმართოთ ელ-ფოსტის საშუალებით: info@geocredit.ge, შეავსოთ პრეტენზიის ელექტრონული ფორმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვებსაიტზე: https://georgiancredit.ge, ან წარადგინოთ პრეტენზია სს მისო „ქართული კრედიტის“ პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით - https://georgiancredit.ge, ან დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 500 100. სათაო ოფისის მისამართი: სანდრო ეულის ქ. N7, 0186, თბილისი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი - https://nbg.gov.ge, მდებარე: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო N1. საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

1.3 წინამდებარე ზოგად პირობებს და საჭიროების შემთხვევაში ყველა სხვა ინფორმაციას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია განათავსებს, როგორც ვებსაიტზე (https://georgiancredit.ge, შემდგომში „ვებსაიტი“), ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ოფისებში (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფილიალი, შემდგომში „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ოფისი“), ხოლო მომხმარებელს შეუზღუდავი წვდომა ექნება აღნიშნულ ინფორმაციაზე.

1.4 მომხმარებელი აცხადებს, რომ წინასწარ და რეგულარულად გაეცნობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვებსაიტზე და ფილიალებში განთავსებულ პირობებს, ასევე, სხვა ინფორმაციას. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აცხადებს, რომ მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ზოგადი პირობების ბეჭდური ვერსიის მომზადებას მომხმარებლისათვის.

1.5 წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტულ პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებული ნაწილი (სპეციალური პირობები) მოქმედებს მხოლოდ შესაბამის

პროდუქტთან/მომსახურებასთან მიმართებაში. ზოგად და სპეციალურ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სპეციალურ პირობებს.

2. პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

2.1 მხარეები ვალდებულნი არიან, მკაცრად დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, აგრეთვე წინამდებარე ზოგადი პირობებით გათვალისწინებულ და/ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2.2 მომხმარებელი შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ეცნობა რა მომსახურების პირობებს წერილობითი ფორმით აცხადებს თანხმობას, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, თავისი საკანონმდებლო ვალდებულებების, კანონისმიერი ინტერესის უზრუნველყოფის, ასევე სახელშეკრულებო უფლებამოსილებების/ვალდებულებების შესრულების, მათ შორის, მომსახურების გაწევის მიზნით:

(ა) დაამუშავოს მისი პერსონალური/მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები;

(ბ) „პერსონალურ მოანცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომსახურებებზე ან არსებული მომსახურების ცვლილებებზე ან ახალი მომსახურების შესახებ, პირად ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ცნობილ ტელეფონის ნომერზე (მათ შორის ხმოვანი, მოკლე ტექსტური, თუ სხვა სახის შეტყობინების სახით), მისამართზე (საფოსტო გზავნილის სახით) ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე (ელექტრონული წერილის სახით). მომხმარებელმა წერილობით უნდა აცნობოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ტელეფონის ნომრ(ებ)ის შეცვლის/დაკარგვის ან ელექტრონული მისამართ(ებ)ის შეცვლის/გაუქმების შესახებ. მომხმარებელი ადასტურებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით/ელექტრონული შეტყობინებით ხელმისაწვდომი გახდება მესამე პირებისთვის, რაც გამოწვეული იქნება ტელეფონის ნომრის შეცვლის/დაკარგვის ან ელექტრონული მისამართის გაუქმების/შეცვლის შესახებ მომხმარებლის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის შეუტყობინებლობით.

2.3 მომხმარებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ანიჭებს უფლებამოსილებას, მიაწოდოს მობილური ტელეფონის ნომრები მობილური ტელეკომუნიკაციის ოპერატორ(ებ)ს, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად/პირდაპირი მარკეტინგის განსახორციელებლად. მომხმარებელი აგრეთვე ადასტურებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ ხელმისაწვდომი გახდება მესამე პირთათვის, რაც გამოწვეული იქნება მობილური ტელეკომუნიკაციის ოპერატორ(ებ)ის ქმედების შედეგად და ამ ოპერატორ(ებ)ისათვის მონაცემების გადაცემამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო/შეასრულა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ზომები/ვალდებულებები.

2.4 მომხმარებელს უფლება აქვს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სარეკლამო შეტყობინებების) დამუშავების შეწყვეტა ზეპირი (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ცხელ ხაზზე დარეკვის გზით), ელექტრონული (info@geocredit.ge-ზე გაგზავნით) ან წერილობითი ფორმით, მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით.

2.5 მომხმარებელი ინფორმირებულია:

(ა) რომ მომხმარებლის პერსონალური/განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მიწოდება სავალდებულოა, იმისათვის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეძლოს მომხმარებლის მომსახურება;

(ბ) მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე;

გ) რომ პერსონალური/განსაკუთრებული მონაცემების შეგროვება/მოპოვება აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად.

2.6. მომხმარებელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე;

ბ) მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება ან/და შევსება;

გ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან/და განადგურება;

დ) მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა;

ე) მოითხოვოს მონაცემთა გადატანა;

ე) არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა.

2.7. წინამდებარე მუხლის 2.6. პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობა მომხმარებელს შესაძლებელია შეეზღუდოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებითა და "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.

2.8. წინამდებარე მუხლის 2.6. პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობისათვის, მომხმარებელი მიმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ელექტრონული (info@geocredit.ge-ზე გაგზავნით) ან წერილობითი ფორმით.

2.8 მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, მომხმარებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ანიჭებს უფლებას, მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ დროს გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველო"-ს და/ან იმ დროისათვის საქართველოში მოქმედ სხვა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, დადგენილი წესების შესაბამისად, რის საფუძველზეც მომხმარებელი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში.

2.7 გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ დავალიანების მოცულობას, კრედიტის მიზნობრიობას, დარიცხულ სარგებელს, მოქმედების ვადას, მომხმარებლის მიერ კრედიტთან დაკავშირებული

გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე იმავე ინფორმაციას თავდებებისა და ამ ზოგადი პირობების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფების შესახებ, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოებისა და სააღსრულებო პროცედურების შესახებ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას მომხმარებლის შესახებ, რასაც მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დადგენილი პროცედურები.

2.8 მომხმარებელი აცხადებს თანხმობას და ანიჭებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლებამოსილებას, ფინანსური მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან ზოგადი პირობების მოქმედების პერიოდში, ძიების რაოდენობის შეუზღუდავად, გაეცნოს მომხმარებლის შესახებ არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას სს „კრედიტინფო საქართველო“-ს მონაცემთა ბაზაში და განახორციელოს არსებული მონაცემების დამუშავება. მომხმარებელი, გამოხატავს რა ინტერესს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პროდუქტებით სარგებლობის შესახებ, დამატებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობა ძალაშია ზოგადად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე და/ან თანხმობის გაუქმებამდე; მიუხედავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პროდუქტ(ებ)ით სარგებლობისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს, მომხმარებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გაეცნოს მის შესახებ არსებულ ინფორმაციას სს „კრედიტინფო საქართველო“-ს მონაცემთა ბაზაში და განახორციელოს არსებული მონაცემების დამუშავება მომხმარებლისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პროდუქტების შემოთავაზების მიზნითაც.

2.9 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაიცავს მომხმარებლის შესახებ მის ხელთ არსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას არასანქცირებული ან შემთხვევითი გამჟღავნების, წვდომისა და განადგურებისაგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი ორგანიზაციულ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

2.10 მომხმარებლის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია თავდებობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მომხმარებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართისა და მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მომხმარებელთან.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის დოკუმენტების მესამე პირების მიერ მიღებაზე, საფოსტო შეცდომაზე, დოკუმენტების დაკარგვის/მოპარვის გამო მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე და აგრეთვე სხვა ნებისმიერ პრეტენზიაზე, რაც დაკავშირებულია მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურებით და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებით, თუ აღნიშნული შედეგი გამოწვეულია:

ა) მომხმარებლის მიერ მისი საიდენტიფიკაციო, პირადი, საკონტაქტო და სხვა მონაცემების მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის შეუტყობინებლობით;

ბ) მომხმარებლის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით / არასრულყოფილებით.
გ) ტექნიკის (კომპიუტერი, ტელეფონის აპარატი ან/და სხვა მოწყობილობა, რომლითაც სარგებლობს მომხმარებელი) არამართლზომიერი გამოყენების, მესამე პირებისათვის გადაცემით ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით;
დ) მესამე პირებთან, მათ შორის: ტელეკომუნიკაციების ოპერატორთან, ინტერნეტ-პროვაიდერთან და სხვა, დაკავშირებული მიზეზით;
ე) მომხმარებლისათვის საგადახდო საშუალებებისათვის დადგენილი პირობების და უსაფრთხოების ზომების დაუცველობით;
3.2 წინამდებარე ზოგადი პირობების დაუცველობის გამო, მომხმარებელს შესაძლოა მიადგეს პირადი მატერიალური ზიანი.
3.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის წინაშე საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული.
3.4 მომხმარებელი პასუხისმგებელია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია განთავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან.
3.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ფორსმაჟორული გარემოებების პირდაპირი ზემოქმედებით გამოწვეულ შედეგებზე (მათ შორის, ზარალზე, ზიანზე ან დაყოვნებაზე), რაც შეიძლება, იყოს: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, გაფიცვა, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, სახელმწიფო ორგანოების აქტი და/ან ქმედებები, სამხედრო მოქმედებები და სხვა დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის მქონე მოვლენები. შესრულებაზე უარის თქმად არ განიხილება მომხმარებელთან ურთიერთობისას შეუსრულებლობა ან დაყოვნება, თუკი ასეთი გამოწვეულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად. ფორსმაჟორული გარემოების დადგომისას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მომხმარებელს, თუ შეტყობინების მიწოდება არ ბრკოლდება ამავე გარემოების მიზეზით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
3.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მომსახურების მისაღებად მომხმარებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობის შესახებ ნებისმიერი ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია გაუგზავნოს ამგვარი დოკუმენტები შესაბამის უფლებამოსილ უწყებას ექსპერტიზის ჩასატარებლად, რათა დადგინდეს დოკუმენტის ნამდვილობა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პასუხს არ აგებს აღნიშნული პროცედურების ჩატარებით გამოწვეულ დაყოვნებაზე და დაყოვნებით

4. კომუნიკაცია

4.1 მომხმარებლისათვის განკუთვნილ კორესპონდენციას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გზავნის მომხმარებლის ტელეფონის ნომერზე (მათ შორის ხმოვანი, მოკლე ტექსტური, თუ სხვა სახის შეტყობინების სახით), მისამართზე (საფოსტო გზავნილის სახით), ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისთვის ცნობილ ბოლო საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე, მისამართზე, ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი მოთხოვნა/შეტყობინება ჩაითვლება მომხმარებლისთვის ჩაბარებულად. მომხმარებლისთვის შეტყობინების მიწოდების თარიღად ჩაითვლება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ შესაბამისი დოკუმენტის გაგზავნის თარიღი. მომხმარებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი შეტყობინების თარიღს.

4.2 საინფორმაციო ხასიათის შეტყობინება მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მომხმარებელს შესაძლებელია, მიაწოდოს ზეპირი ფორმით.

4.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე მომხმარებელს SMS შეტყობინების სახით გაუგზავნოს სახელშეკრულებო ვალდებულებებთან ან/და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ასევე შესაბამის ოპერაციებთან და შეზღუდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გაგზავნილი SMS კატეგორიების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად მომხმარებელს შეუძლია დაუკავშირდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ცხელ ხაზს ან ეწვიოს სათაო ოფისს/ფილიალებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი იმ ინფორმაციის მესამე პირთა მიერ გაცნობაზე, რომელიც მომხმარებელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მითითებულ ტელეფონის ნომერზე გაეგზავნება SMS საშუალებით, შესაბამისად, მოცემულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის/მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებასა და მესამე პირთა მხრიდან წვდომაზე.

4.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს „4.3“ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება სარეკლამო (მარკეტინგული) შეტყობინებების მიწოდების და/ან SMS მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

4.5 მომხმარებელი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში აცნობოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას საიდენტიფიკაციო, პირადი, საკონტაქტო და წარდგენილი ნებისმიერი სხვა მონაცემის შეცვლის შესახებ და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალები ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლები. აღნიშნული ცვლილების მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

4.6 წინამდებარე მუხლში მითითებული ნებისმიერი შეტყობინება (ინფორმაციის მიწოდება, განაცხადის გაკეთება და ა.შ.) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ მომხმარებელმა უნდა განახორციელოს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უნდა გადაეცეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის იურიდიულ მისამართზე.

5. სესხის დაფარვა

5.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში სესხის დასაფარად თანხის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მეთოდებით:

ა) სს მისო "ქართული კრედიტის" ფილიალებში ვიზიტის საშუალებით. მოლარე-ოპერატორის დახმარებით, შესაძლებელია, სალაროში ნაღდი ფულის შეტანა სესხის დაფარვისთვის. მომსახურება უფასოა.

ბ) სს "თიბისი ბანკისა" და სს "საქართველოს ბანკის" ფილიალებში ვიზიტის საშუალებით. მოლარე-ოპერატორის დახმარებით, შესაძლებელია, გადაირიცხოს ან ნაღდი ფულით სალაროში შევიდეს თანხა სს მისო "ქართული კრედიტის" საბანკო ანგარიშის ან/და საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს მსესხებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. სხვა შემთხვევაში, მსესხებლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომსახურება ფასიანია.

გ) სწრაფი გადახდის აპარატების - TBCPay, OPPA (Paybox) საშუალებით თანხის გადახდისთვის საჭიროა კლიენტის ნომერი, რომელიც მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში და, ასევე, გადახდის შეხსენების შესახებ მიღებულ SMS შეტყობინებებში. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომსახურება ფასიანია.

დ) ინტერნეტ და მობაილ ბანკიდან გადახდის დროს დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს მსესხებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. სხვა შემთხვევაში, მსესხებლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება. მოცემულ შემთხვევაში, თანხის გადახდა უნდა მოხდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამუშაო საათების განმავლობაში, კერძოდ: ორშაბათი - პარასკევი: 09:30-დან 17:30-მდე; ყოველი თვის ბოლო შაბათი: 10:00-დან 14:30-მდე.

ე) იმ შემთხვევაში, თუ თანხა ჩაირიცხა დანიშნულების მითითების გარეშე და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ ახდენს თანხის იდენტიფიცირებას, კლიენტი ვალდებულია, იმავე დღეს, წერილობითი სახით (განცხადება, ან კომპანიის რეგისტრირებულ ელ. მისამართზე მომართვა) მომართვით დააფიქსიროს დანიშნულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხდება თანხის სესხზე ასახვა და შესაძლოა დაერიცხოს ჯარიმა, რა შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

ვ) თუ გსურთ სესხის სრულად ან ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვა - თანხის შეტანა აუცილებელია აცნობოთ თქვენს საკრედიტო ექსპერტს ან დაგვიკავშირდეთ ცხელი ხაზის ნომერზე (+99532) 2 500 100. სხვა შემთხვევაში გადახდები განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკით.

5.2 კლიენტის მიერ შენატანის განხორციელებისას, პირველ რიგში იფარება კომპანიის მიერ გაწეული ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვადაგადაცილებიდან წარმოქმნილი პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ სესხზე დარიცხული სარგებელი და საბოლოოდ სესხის ძირი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს ერიცხება ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მის მიერ შემოტანილი თანხა არ არის საკმარისი, მას უფლება აქვს,

წერილობითი განცხადებით მომართვის საფუძველზე, ამოირჩიოს რომელი დავალიანების დაფარვა სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თავად გადაწყვეტს რომელ სესხზე მიმართავს თანხას.

6. ზოგად პირობებში ცვლილებები და დამატებები; შეწყვეტის წესი

6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (მათ შორის, დამატებები) მომსახურების ზოგად პირობებში. ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვებსაიტზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფილიალებში. ინფორმაციის განთავსებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ ცვლილება შევა ძალაში.

6.2 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, სს მისო „ქართული კრედიტის“ მიერ მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ ეთანხმება შეთავაზებულ ცვლილებას, მას უფლება აქვს, შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ცვლილების ძალაში შესვლამდე; ამასთან, იგი ვალდებულია, შეწყვეტამდე შეასრულოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება, საკომისიო და სხვა გადასახდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილება შევა ძალაში და სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება შეცვლილი პირობებით.

6.4 თუ დაგეგმილი ცვლილება არ ეხება ხელშეკრულების არსებით პირობებს/აუმჯობესებს მომსახურების პირობებს და დამატებით ხარჯს არ იწვევს მომხმარებლისთვის, ასევე იმ შემთხვევაში როდესაც ცვლილების აუცილებლობა გამოწვეულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი გარემოებებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს, ამ ვადის დაუცველად განახორციელოს ამგვარი ცვლილების შეტანა ზოგად პირობებში, ამავე დოკუმენტით განსაზღვრული ფორმით. მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას ახალი პირობებით ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

6.5 წინამდებარე ზოგადი პირობების ან მისი ნაწილის მოქმედება წყდება:

ა) მომხმარებლის ინიციატივით. მომხმარებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ნებისმიერ დროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის წერილობითი შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარების გზით, მას შემდეგ, რაც დაფარავს შეწყვეტის მომენტში არსებულ ყველა დავალიანებას/გადასახადს საქართველოს კანონმდებლობით გამომდინარე პროცედურების დაცვით; აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდება ვალდებულებების სრულად დაფარვის ვადით.

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინიციატივით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს, შეწყვიტოს მომხმარებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობა მომხმარებლისათვის არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს, შეწყვიტოს ზოგადი პირობებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე სახის მომსახურების გაწევა მომხმარებლისთვის შეწყვეტის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე

შეტყობინების გაგზავნის გზით, ან ვადის დაუცველად, თუ ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ ჰქონდა წინასწარ შეტყობინების შესაძლებლობა. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, ელექტრონული (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და სხვა) ან წერილობითი ფორმით.
გ) მომხმარებლის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ვადის დაცვის გარეშე.
დ) წინამდებარე ზოგადი პირობებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
6.6 ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში, ფინანსურმა ორგანიზაციამ აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, უნდა მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება სათანადო ფორმით ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში. ფინანსური ორგანიზაცია არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, თუ მომხმარებელთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ფინანსური ორგანიზაციისთვის.
6.7 წინამდებარე ზოგადი პირობები ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო "ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: სს მისო "ქართულ კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.